საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 64 (9532) | ორშაბათი, 16 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნებულია თავის ძალებში. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ახლა უფრო დიდი და უძლეველია, ვიდრე ოდესმე. საბჭოთა მთავრობა მთელ თავის ძალებს მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

გ. მ. მალენკოვი

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

## ამხანაგ მ. ა. იასნოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას გახსნილად ვაცხადებ.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხი უდიდესი გულისტკივილით, აუნაზღაურებელი დანაკლისის გრძნობით გამოეთხოვა თავის საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელ ხსოვნას. (ყველანი ფეხზე დგებიან). გთხოვთ დაბრძანდეთ.

ამხანაგო დეპუტატებო!

14 მარტს პრაღაში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, ჩვენი ძვირფასი კლემენტ გოტვალდი. ჩეხოსლოვაკიის ხალხებთან ერთად ამ მძიმე დანაკლისს დიდად განიცდის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ კლემენტ გოტვალდის ხსოვნას. (ყველანი ფეხზე დგებიან). გთხოვთ დაბრძანდეთ.

ამხანაგო დეპუტატებო!

წინადადებაა მიღებულ იქნას შემდეგი ტექსტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვისა, რომლითაც გამოთქმულია სამძიმარი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისადმი პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო:

„ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო დიდ სამძიმარს უცხადებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო.

თქვენთან ერთად დიდად ვგლოვობთ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ბელადის, ახალი ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს დაუღალავი ორგანიზატორის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ამხანაგ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო".

ნებას მიბოძებთ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ მიმართვის ეს ტექსტი მიღებულად ჩავთვალო? მიმართვა მიღებულია.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა და სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნა.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის არჩევა.
5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში.

ვიწყებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევის საკითხის განხილვას.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა დეპუტატ ხრუშჩოვს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის სახელით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის დეპუტატების სახელით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის განსახილველად შემომაქვს შემდეგი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით ამხანაგი ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი რეკომენდებულია პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ — წინადადება შემომაქვს განთავისუფლდეს ამხანაგი შვერნიკი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ამასთან ერთად შემომაქვს წინადადება ამხანაგი ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

ამხანაგო დეპუტატებო, წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულ იქნას ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი. (მქუხარე ტაში).

ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს იცნობენ როგორც დიდი ლენინის ერთგულ მოწაფესა და დიდი სტალინის თანამებრძოლს, როგორც ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუღალავ მებრძოლს.

ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი ღირსეულად შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის არჩევის შესახებ სავსებით დაუჭერს მხარს და მოიწონებს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის მთელი ხალხი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

• • •

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ ამხ. ლ. პ. ბერიას (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

## ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით თქვენს განსახილველად შემომაქვს შემდეგი წინადადება:

„დაინიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან) და დაევალოს ამხანაგ მალენკოვს წარმოუდგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ".

ჩვენი პარტია, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ამხანაგ მალენკოვს, როგორც ლენინის ნიჭიერ მოწაფეს, სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები, როგორც რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობის დარგში, ისე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა კავშირის ხალხების გიგანტური, გმირული ბრძოლისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

ვფიქრობ, გამოვხატავ დეპუტატთა საერთო აზრს, თუ მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ საბჭოთა მთავრობა, ამხანაგ მალენკოვის მეთაურობით, ისე უხელმძღვანელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მთელ საქმეს, როგორც გვასწავლიდნენ ლენინი და სტალინი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში), თავდადებით ემსახურება ჩვენი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობას თავის მუშაობაში, როგორც ყოველთვის, თავისი ძალის წყაროდ ექნება: ჩვენი საქმის, ლენინ — სტალინის საქმის სიმართლის ღრმა რწმენა (მქუხარე ტაში), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის სისწორის ურყევი რწმენა; იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია არ დავუშვათ ახალი ომი და მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან (მქუხარე ტაში); იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდა, მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი განუხრელი და სისტემატური ამაღლება (ხანგრძლივი ტაში); იმის ღრმა რწმენა, რომ დაუშრეტელია შემოქმედებითი ძალები ჩვენი ქვეყნის ხალხებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან ურღვევი ძმური მეგობრობით და რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობა თავიანთ ღვიძლ, სასიცოცხლო საქმედ მიაჩნიათ; საბჭოთა ხალხის სრული ნდობა თავისი მთავრობისადმი; კომუნისტური პარტიის რკინისებური დარაზმულობა; ჩვენი მძლავრი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ურყევი ერთიანობა.

ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად დაამტკიცებს გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის დანიშვნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

• • •

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. მ. მალენკოვს (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენ დამავალეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოვადგინო მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგო დეპუტატებო, დიდი ნდობისა და მაღალი პატივისათვის, რაც თქვენ დამდეთ. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, თქვენ უკვე იცით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა.

ამ სესიაზე ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს გადაწყვეტილებანი და, კონსტიტუციის შესაბამისად, კანონის ძალა მივანიჭოთ იმ ღონისძიებებს, რომელთა მიღებასა და დამტკიცებას შესაძლებლად და საჭიროდ მიიჩნევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო — ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად არსებულ სამინისტროთა გამსხვილების, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მმართველობის მონათესავე დარგებისადმი ხელმძღვანელობის ერთ სამინისტროდ გაერთიანების ღონისძიებანი დღეს კი არ მომწიფდა. ისინი უკვე დიდი ხანია, ამხანაგ სტალინის სიცოცხლეში, მასთან ერთად მზადდებოდა ჩვენს პარტიასა და მთავრობაში. და ახლა, იმ მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, ჩვენ მხოლოდ დავაჩქარეთ სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მომწიფებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

შემოგვაქვს რა ეს ღონისძიებანი, ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ საჭიროა კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ სსრ კავშირის შემდგომი განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმების რეალიზაციისათვის, უფრო აქტიურად და წარმატებით განვახორციელოთ ეს გეგმები.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში იმ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც შემოგვაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, უეჭველად შექმნის უკეთეს პირობებს, რათა წარმატებით გადავჭრათ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანები, როგორიცაა: ჩვენი დიდი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი დაუცხრომელი და ყოველმხრივი განმტკიცება, მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცება ჩვენი სამშობლოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად; სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება, კულტურის განვითარება და მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით უფრო წარმატებით წინსვლის უზრუნველყოფა.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს წარმატებით განვახორციელოთ რეორგანიზაცია სამინისტროების გამსხვილების დარგში და უზრუნველვყოთ ყველა მისი უპირატესობის რეალიზაცია, რადგან ჩვენ გვყავს მნიშვნელოვნად გაზრდილი კადრები, რომლებმაც დიდი გამოცდილება შეიძინეს და შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ გამსხვილებული სამინისტროების ხელმძღვანელობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოგვაქვს შემდეგი წინადადებანი:

გაერთიანდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის სამხედრო სამინისტრო და სამხედრო-საზღვაო სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო და ვაჭრობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მებამბეობის სამინისტრო, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, დამზადებათა სამინისტრო და სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

გაერთიანდეს უმაღლესი განათლების სამინისტრო, კინემატოგრაფიის სამინისტრო, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი, რადიოინფორმაციის კომიტეტი, პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო, შრომითი რეზერვების სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და თევზის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს შავი მეტალურგიის სამინისტრო და ფერადი მეტალურგიის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და დაზგათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს ელექტროსადგურების სამინისტრო, ელექტრომრეწველობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს შეიარაღების სამინისტრო და საავიაციო მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — თავდაცვის მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო და ქაღალდისა და ხის გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო და მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სამდინარო ფლოტის სამინისტრო და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო ერთ სამინისტროდ — საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროდ.

გაუქმდეს გეოლოგიის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს შესაბამისად მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ნავთის მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომელთა გამგებლობაშიც არის მომპოვებელი მრეწველობა.

გაუქმდეს სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს გზათა სამინისტროს.

შეუერთდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩემთვის, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისათვის, მოცემული დავალების შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემომაქვს სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — ლავრენტი პავლეს-ძე ბერია (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან);

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — ალექსი ივანეს-ძე კოზლოვი (ტაში);

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — პანტელეიმონ კონდრატეს-ძე პონომარენკო (ტაში);

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი (ტაში);

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი — ალექსანდრე თევდორეს-ძე ზასიადკო (ტაში);

ნავთის მრეწველობის მინისტრი — ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბაიბაკოვი (ტაში);

მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი — ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი (ტაში);

ქიმიური მრეწველობის მინისტრი — სერგი მიხეილის-ძე ტიხომიროვი (ტაში);

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

(დასასრული)

მანქანათმშენებლობის მინისტრი — მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი (ტაში);

სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი — ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი (ტაში);

ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი — მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი (ტაში);

თავდაცვის მრეწველობის მინისტრი — დიმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვი (ტაში);

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი (ტაში);

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — გიორგი მიხეილის-ძე ორლოვი (ტაში);

მშენებლობის მინისტრი — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დიგაი (ტაში);

გზათა მინისტრი — ბორის პავლეს-ძე ბეშჩევი (ტაში);

კავშირგაბმულობის მინისტრი — ნიკოლოზ დემიანეს-ძე პსურცევი (ტაში);

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრი — ზოსიმე ალექსის-ძე შაშკოვი (ტაში);

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი — არსენ გრიგოლის-ძე ზვერევი (ტაში);

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ანდრია თევდორეს-ძე ტრეტიაკოვი (ტაში);

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი — კონსტანტინე პეტრეს-ძე გორშენინი (ტაში);

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე მერკულოვი (ტაში);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — გრიგოლ პეტრეს-ძე კოსიაჩენკო (ტაში);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კონსტანტინე მიხეილის-ძე სოკოლოვი (ტაში);

ამხანაგო დეპუტატებო!

შემოიტანეს რა უმაღლესი საბჭოს განსახილველად წინადადებანი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ეყრდნობოდნენ იმას, რომ ჩვენი ხელმძღვანელობის ძალაა მისი კოლექტიურობა, დარაზმულობა და მონოლითურობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ უმაღლესი პრინციპის უაღრესად მტკიცედ დაცვა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისადმი სწორი ხელმძღვანელობის საწინდარს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზით ჩვენი შემდგომი წარმატებითი წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

შემომაქვს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მთავრობის აღნიშნული შემადგენლობა, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მთავრობა მთელ თავის საქმიანობაში ზუსტად განახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას საგარეო და საშინაო საქმეებში. ჩვენ უკვე განვაცხადეთ საბჭოთა მთავრობის ამ პოზიციის შესახებ. მე მხედველობაში მაქვს ჩემი გამოსვლა, ამხანაგ ლ. პ. ბერიას გამოსვლა და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა სამგლოვიარო მიტინგზე 9 მარტს.

საშინაო პოლიტიკის შესახებ ჩვენს განცხადებებში მთელი გარკვეულობით არის ნათქვამი, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითს ძლიერებას, რომ ჩვენი მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. (მქუხარე ტაში).

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჩვენი განცხადებებიდან სავსებით გამომდინარეობს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა განუხრელად განახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის ნაცად პოლიტიკას, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და ინტერესთა ურთიერთ დაცვის საფუძველზე მათთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას, კვლავაც განახორციელებს მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, განამტკიცებს ძმურ მეგობრობასა და სოლიდარობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ყველა ხალხთან. (მქუხარე ტაში).

მშვიდობის საბჭოთა პოლიტიკის საფუძველია სხვა ქვეყნების, როგორც დიდი, ისე მცირე ქვეყნების, ხალხების უფლებათა პატივისცემა, დაწესებული საერთაშორისო ნორმების დაცვა; საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველია სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

ამჟამად არ არის ისეთი სადავო, ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ეს შეეხება ჩვენს ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ჩვენს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, შეუძლიათ, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიც, დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკაში. (მქუხარე ტაში).

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნებულია თავის ძალებში. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ახლა უფრო დიდი და უძლეველია, ვიდრე ოდესმე. საბჭოთა მთავრობა მთელ თავის ძალებს მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლას. (მქუხარე ტაში).

ჩვენ წავალთ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო ერთიანობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ერთსულოვან ძმურ ოჯახად! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

# საინფორმაციო ცნობა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 15 მარტის სხდომის შესახებ

15 მარტს, დღის 2 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ა. იასნოვმა.

დეპუტატ მ. ა. იასნოვის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

თავმჯდომარე სესიას აცნობებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის გარდაცვალებას. სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა კლემენტ გოტვალდის ხსოვნას და მიიღო მიმართვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისადმი პრეზიდენტ კ. გოტვალდის გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი მ. ა. იასნოვი აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა და სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნა.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის არჩევა.
5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში.

სესიას ერთხმად შეაქვს ეს საკითხები თავისი მუშაობის დღის წესრიგში.

დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებით სესია ათავისუფლებს დეპუტატ ნ. მ. შვერნიკს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო და ირჩევს ნ. მ. შვერნიკს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სესია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ ლ. პ. ბერიას.

სესია ერთსულოვნად ამტკიცებს დეპუტატ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და ავალებს მას წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

სესია იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის და სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის — განხილვას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. მ. მალენკოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს წინადადებანი სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭისყრით ერთსულოვნად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის მიერ შეტანილ შემდეგ წინადადებებს სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ:

გაერთიანდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის სამხედრო სამინისტრო და სამხედრო-საზღვაო სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო და ვაჭრობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მებამბეობის სამინისტრო, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, დამზადებათა სამინისტრო და სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

გაერთიანდეს უმაღლესი განათლების სამინისტრო, კინემატოგრაფიის სამინისტრო, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი, რადიოინფორმაციის კომიტეტი, პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო, შრომითი რეზერვების სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და თევზის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს შავი მეტალურგიის სამინისტრო და ფერადი მეტალურგიის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და დაზგათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს ელექტროსადგურების სამინისტრო, ელექტრომრეწველობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს შეიარაღების სამინისტრო და საავიაციო მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — თავდაცვის მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო და ქაღალდისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო და მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მშენებლობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სამდინარო ფლოტის სამინისტრო და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო ერთ სამინისტროდ — საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროდ.

გაუქმდეს გეოლოგიის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს შესაბამისად მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ნავთის მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომელთა გამგებლობაშიც არის მომპოვებელი მრეწველობა.

გაუქმდეს სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს გზათა სამინისტროს.

შეუერთდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის მიერ შეტანილ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგ შემადგენლობას:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — ალექსი ივანეს-ძე კოზლოვი.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — პანტელეიმონ კონდრატეს-ძე პონომარენკო.

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი — ალექსანდრე თევდორეს-ძე ზასიადკო.

ნავთის მრეწველობის მინისტრი — ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბაიბაკოვი.

მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი — ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი.

ქიმიური მრეწველობის მინისტრი — სერგი მიხეილის-ძე ტიხომიროვი.

მანქანათმშენებლობის მინისტრი — მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი.

სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი — ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი.

ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი — მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი.

თავდაცვის მრეწველობის მინისტრი — დიმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვი.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი.

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — გიორგი მიხეილის-ძე ორლოვი.

მშენებლობის მინისტრი — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დიგაი.

გზათა მინისტრი — ბორის პავლეს-ძე ბეშჩევი.

კავშირგაბმულობის მინისტრი — ნიკოლოზ დემიანეს-ძე პსურცევი.

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრი — ზოსიმე ალექსის-ძე შაშკოვი.

ფინანსთა მინისტრი — არსენ გრიგოლის-ძე ზვერევი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ანდრია თევდორეს-ძე ტრეტიაკოვი.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი — კონსტანტინე პეტრეს-ძე გორშენინი.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე მერკულოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — გრიგოლ პეტრეს-ძე კოსიაჩენკო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კონსტანტინე მიხეილის-ძე სოკოლოვი.

დეპუტატ ი. ვ. კაპიტონოვის წინადადებით უმაღლესმა საბჭომ გაათავისუფლა დეპუტატი ა. თ. გორკინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ერთხმად აირჩია ნიკოლოზ მიხეილის-ძე პეგოვი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განიხილა სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ნ. მ. პეგოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების მიხედვით ცალ ცალკე კენჭისყრით ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებს შემდეგი სახით:

„მუხლი 70. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე".

„მუხლი 77. საერთო საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან შემდეგი სამინისტროები:

ქვანახშირის მრეწველობისა;
ნავთის მრეწველობისა;
მეტალურგიული მრეწველობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა;
სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობისა;
თავდაცვის მრეწველობისა;
მშენებლობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო და სამდინარო ფლოტისა."

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან შემდეგი სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;
საგარეო საქმეთა;
თავდაცვისა;
საშინაო და საგარეო ვაჭრობისა;
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;
კულტურისა;
მსუბუქი და კვების მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
ფინანსთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
იუსტიციისა;
სახელმწიფო კონტროლისა."

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მისი დანიშვნის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩია დეპუტატი ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი.

ამით დაამთავრა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

# ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი გამოფენები

კიშინიოვი. ქალაქის ბიბლიოთეკებში გაიხსნა კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენები.

ქალაქის № 3 ბიბლიოთეკაში გამოფენის სტენდები მოგვითხრობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, დიდი ოქტომბრის დღეებში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში, მოგვითხრობენ ი. ბ. სტალინისა და ვ. ი. ლენინის დიად მეგობრობაზე. სტენდზე „კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვარი" წარმოდგენილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", მისი სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე.

კოსტრომა. აქ გაიხსნა გამოფენა „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა".

სტენდებზე და ვიტრინებში ფართოდ წარმოდგენილია ლიტერატურა, დოკუმენტების ფოტოპირები და ცნობილი საბჭოთა მხატვრების სურათების რეპროდუქციები. მასალები ასახავენ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს.

ლვოვი. ისტორიის მუზეუმში გაიხსნა მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

დიდი განყოფილება მიძღვნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XIX ყრილობისადმი. მინის ქვეშ არის ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", ტექსტი დიდი ბელადის სიტყვისა პარტიის XIX ყრილობის საბოლოო სხდომაზე. (საკდესი).

ეროვნული

# კლემენტ გოტვალდი

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელისადმი

**პრაღა**, 14 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელისადმი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შემდეგ ტექსტს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტისაგან

ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და ჩეხოსლოვაკიის მთელ ხალხს, რომ 14 მარტს დილის 11 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხანაგი კლემენტ გოტვალდი.

ამხანაგ კლემენტ გოტვალდის სიცოცხლის გადასარჩენად გაკეთდა ყველაფერი, რაც კი ადამიანს ძალუძს. ამასთან დიდი, ჭეშმარიტად ძმური დახმარება გაუწია ჩეხოსლოვაკიის ხალხს საბჭოთა კავშირის მთავრობამ. ავადმყოფის სასთუმალთან იყვნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ექიმები. გმირულად, თითქმის უკანასკნელ წუთამდე, ებრძოდა სიკვდილს თვით ამხანაგი გოტვალდი, რომელიც ინარჩუნებდა სრულ ცნობიერებას. სამწუხაროდ, ვერ შევძელით გადაგვერჩინა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლე.

დადგა ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის ძნელი, მეტად ძნელი ჟამი. დიდი სტალინის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ხალხს თავს დაატყდა აუნაზღაურებელი უბედურება. გარდაიცვალა ჩვენი მშრომელების საყვარელი ბელადი, ლენინისა და სტალინის ჩვენი საუკეთესო და ყველაზე ერთგული მოწაფე, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სამშობლოს მამა. გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელმაც ააშენა და გამოაწრთო ჩვენი კომუნისტური პარტია, როგორც ლენინურ-სტალინური ახალი ტიპის პარტია.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელიც ასწავლიდა და ასწავლა ჩვენს ხალხს, როგორ უნდა ანადგუროს კაპიტალისტები, ექსპლოატატორები, ხალხის მტრები და რომელმაც ამ ბრძოლაში განუყრელად გააერთიანა ჩეხი და სლოვაკი მშრომელნი.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელმაც სამუდამოდ გააერთიანა ჩვენი ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხებთან ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ძმობის განუყრელ კავშირში.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელიც მტკიცედ და შეუდრეკლად ეწეოდა ჩვენი ხალხის დიად ბრძოლას ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელსაც გმირი საბჭოთა მეომრების მიერ განთავისუფლებულ ჩვენს სამშობლოში მივყავდით ახალი წყობილების მშენებლობისაკენ, სადაც მმართველ ძალას წარმოადგენენ არა კაპიტალისტები, მსხვილი მემამულეები და უცხოელი იმპერიალისტები, არამედ მშრომელი ხალხის ყველა ფენასთან ძმურად გაერთიანებული მუშათა კლასი.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელმაც დაგვისახა ნათელი სოციალისტური მომავლის დიადი პერსპექტივა, მშვიდობის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერების პერსპექტივა და რომელიც ყოველდღე გვასწავლიდა, როგორ უნდა ავაშენოთ სოციალიზმი ჩვენს სამშობლოში.

გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავდა ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, რომელიც შორსმჭვრეტელურად ზრუნავდა ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის, რათა ისინი სახელოვანი საბჭოთა არმიის მხარდამხარ იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე და მზად იყვნენ იმისათვის, რომ მოიგერიონ აგრესორთა ყველა მზაკვრობა.

ძვირფასო ამხანაგებო, ძმებო და დებო!

დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ჩვენმა ხალხმა. მაგრამ სწორედ ამ ცოტა ხნის წინათ ამხანაგმა გოტვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც დიდი სტალინი გვასწავლიდა, ჩვენ ყველაზე ძნელ წუთებშიც არ უნდა დავეცეთ სულით და არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი დიდი ამოცანებისა და მიზნების შესრულება.

ასეთი უნდა ვიყოთ ჩვენ ყველანი ამჟამად. ჩვენს რიგებში არ უნდა იქნეს სისუსტე და პანიკა.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი ეროვნული ფრონტის მთავრობის გარშემო.

დაე ამ ძნელ დროს გრანიტივით მტკიცე იყოს ჩვენი ხალხის ერთიანობა! კიდევ უფრო მტკიცედ და თავდადებით წავალთ ჩვენ ლენინურ-სტალინური გზით, რომლითაც წინ მივყავდით ამხანაგ გოტვალდს!

კიდევ უფრო ახლოს ამოვუდგეთ გვერდში ჩვენს დასაყრდენსა და ნიმუშს — დიდ საბჭოთა კავშირს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

გავაძლიეროთ ჩვენი თავდადება და სიფხიზლე და გავანადგუროთ ყველა, ვინც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ჩვენი ეროვნული ფრონტის ერთიანობა!

ახალი გაორკეცებული ენერგიით ვიშრომებთ ჩვენი შემოქმედებითი ამოცანების შესრულებისათვის. ჩვენს პირველ ხუთწლედს ჩვენ ვუწოდეთ გოტვალდური ხუთწლედი. მთელი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ შევასრულოთ ხუთწლედი ისე, როგორც გოტვალდი მოითხოვდა, მთელი ძალები მოვახმაროთ სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს სამშობლოში, მთელი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ კიდევ უფრო ქმედითად ვანადგუროთ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები და გადავაქციოთ ჩვენი სამშობლო უძლეველ ციხე-სიმაგრედ მშვიდობის მსოფლიო ფრონტისა, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი!

ამხანაგ კლემენტ გოტვალდის სახელი მუდამ იცოცხლებს ჩეხოსლოვაკიის ხალხში. იგი იცოცხლებს ჩვენს გულში, ჩვენს ფიქრებსა და ჩვენს მოქმედებაში.

წინ, ჩეხოსლოვაკიის დამკვრელო ბრიგადავ, ლენინ — სტალინის დროშით, გოტვალდის გზით!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც არასოდეს არ უღალატებს კლემენტ გოტვალდის ლენინურ-სტალინურ ანდერძს!

სამარადისოდ ცოცხლობდეს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობა!

გაუმარჯოს გუსისა და გოტვალდის მტკიცე და მამაც ჩეხოსლოვაკიის ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას სამშობლოს — ჩეხოსლოვაკიას, დაე ჰყვაოდეს იგი თავისი ყველაზე დიდი შვილის, ამხანაგ კლემენტ გოტვალდის სასახელოდ და სადიდებლად!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა,

ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტი.

## ჩეხოსლოვაკიის ხალხის გლოვა კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო

**პრაღა**, 14 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხს თავს დაატყდა დიდი უბედურება — გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კლემენტ გოტვალდი. საყვარელი პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი ერთ წამში მოედო მთელ ჩეხოსლოვაკიას და დიდი მწუხარება გამოიწვია მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის გულში. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები კლემენტ გოტვალდს დიდად აფასებდნენ, პატივს სცემდნენ და უყვარდათ.

პრაღის სტალინგრადის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალება იმ მომენტში შეიტყეს, როცა იქ გაიხსნა საერთო-საქარხნო პარტიული კონფერენცია. კომუნისტებმა გლოვის დუმილით მოისმინეს ცნობა პარტიის თავმჯდომარის გარდაცვალების შესახებ.

საავტომობილო ქარხანა „პრაღის" ერთ-ერთ საამქროში გაიმართა დღის ცვლის მუშათა სამგლოვიარო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„დღეს, როცა გარდაიცვალა ამხანაგი კლემენტ გოტვალდი და მთელ მუშათა კლასს თავს დაატყდა დიდი უბედურება, პირობას ვიძლევით, რომ მტკიცედ ვივლით ჩვენი ძვირფასი ამხანაგის გოტვალდის მიერ დასახული გზით და გავიმარჯვებთ ბრძოლაში. პირობას ვიძლევით, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მალე აშენებას. ყველანი კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ჩვენი კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც სასტიკ ბრძოლებში გამოჭედა ამხანაგმა გოტვალდმა, დავირაზმებით ჩვენი მთავრობის გარშემო. პირობას ვიძლევით, რომ შევასრულებთ ყველა ამოცანას, რომლებიც დაგვისახეს პარტიამ და მთავრობამ, პირობას ვიძლევით, რომ პირველ გოტვალდურ ხუთწლედს შევასრულებთ ისე, როგორც დავსახეთ!".

სამგლოვიარო მიტინგები იმართება ქარხნებში, დაწესებულებებში, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მშრომელები ყოველი მხრიდან უგზავნიან წერილებსა და დეპეშებს, რომლებშიც მწუხარებას გამოთქვამენ და პირობას იძლევიან კიდევ უფრო კარგად იმუშაონ სოციალიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

## სამგლოვიარო მიტინგი ქალაქ გოტვალდოვში

**პრაღა**, 15 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები დიდი მწუხარებით შეხვდნენ ცნობას ხალხის ერთგული შვილის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების შესახებ. ქალაქებსა და სოფლებში სამგლოვიარო მიტინგები იმართება.

დღეს ქალაქ გოტვალდოვის მშრომელები დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ შრომის მოედნისაკენ, სადაც ექვსი დღის წინათ მათ ფიცი დადეს რომ დიდი სტალინის ანდერძის ერთგულნი იქნებიან. გლოვის დუმილით მოისმინეს შეკრებილებმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტის ცნობა რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების შესახებ.

ჩვენ გოტვალდელები არ ვიქნებოდით, თქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ოლდრჟიხ პავლოვსკიმ, რომ ვერ გვეპოვნა ძალები, რათა მძიმე წუთებში მხნეობა არ დავკარგოთ, როგორც ამხანაგი გოტვალდი გვასწავლიდა. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ პარტიის, მთავრობისა და მოძმე საბჭოთა კავშირის გარშემო და მტკიცედ ვიდგეთ სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის საგუშაგოზე. ჩვენი ერთიანობა, რომელიც გამოვლინდა ამ წუთში სამგლოვიარო მიტინგზე, ჩვენი ძალის დამადასტურებელია.

სამგლოვიარო მიტინგის დასასრულს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გოტვალდოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა იოზეფ შირუჩკამ წაიკითხა ტექსტი რეზოლუციისა, რომელიც გაეგზავნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალურ კომიტეტს. რეზოლუციაში ქალაქ გოტვალდოვის მცხოვრებნი პირობას დებენ ყოველი ღონე იხმარონ, რათა თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელი შეუწყონ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის აყვავებას და მშვიდობის ციხე-სიმაგრედ გადააქციონ იგი. სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამძიმარი ამხანაგ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო

14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ და საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა ინახულეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. ფოშაგლიკი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დიდი სამძიმარი გამოუცხადეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო.

# მოსკოვი — ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი

★

## მოსკოვის საბჭოთა დედაქალაქად გამოცხადების 35-ე წლისთავი

★

35 წელი გავიდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როცა მოსკოვი მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. 1918 წლის 12 მარტს პეტროგრადიდან მოსკოვს გადავიდა საბჭოთა მთავრობა; 16 მარტს სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობამ მიიღო დადგენილება დედაქალაქის მოსკოვში გადატანის შესახებ.

სამნახევარი ათეული წელია, რაც მოსკოვი არის საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრი. დიადი ქალაქი მახლობელი და ძვირფასია არა მარტო თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით მშრომელისთვისაც. მოსკოვი შუქურაა, რომელიც ლენინ — სტალინის უკვდავი იდეების შუქით უნათებს ყველა მშრომელს ბრწყინვალე მომავლის გზას. დიდმა ბელადმა მოსკოვს უწოდა ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელი, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელი. მოსკოვში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ რევოლუციის დიდი ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

მოსკოვშია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. აქ, კრემლის სასახლეში, კომუნისტური პარტიის ყრილობებზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე იკრიბებიან მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილები, რათა გადაწყვიტონ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული ქალაქია. მისი ქარხნები ამზადებენ ჩარხებსა და ურთულეს ხელსაწყოებს, ავტომანქანებსა და მექანიზმებს კომუნიზმის დიადი მშენებლობათათვის, ელექტრომოწყობილობას და საუცხოო ქსოვილებს. სტალინური ხუთწლედების წლებში აქ შეიქმნა ისეთი პირველხარისხოვანი საწარმოები, როგორიც არის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა, კაგანოვიჩის სახელობის ბურთულსაკისართა ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის, კალინინის სახელობის ქარხნები, ქარხანა „კალიბრი" და ბევრი სხვა. მოსკოვის გმირი მუშათა კლასი ინიციატორია ბევრი პატრიოტული თაოსნობისა, რომლებსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

მოსკოვშია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების — საბჭოთა მეცნიერების შტაბი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე შვიდი დარგობრივი აკადემია. მოსკოვის 475 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და ლაბორატორიაში ამუშავებენ მეცნიერულ საკითხებს, რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

მოსკოვი ამაყობს თავისი მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით, სასწავლებლებით. დედაქალაქშია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი, მსოფლიოში უდიდესი წიგნსაცავი — სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რუსული და საბჭოთა სახვითი ხელოვნების მსოფლიო საგანძური — ტრეტიაკოვის გალერეა.

მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგურია. ამჟამად, როცა უკვე მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, მოსკოვი სანაოსნო გზებით დაკავშირებულია შავ, კასპიის, აზოვის, თეთრ და ბალტიის ზღვებთან. მოსკოვში თავს იყრის რკინიგზის ათი მაგისტრალი.

35 წლის განმავლობაში ქალაქმა სრულიად იცვალა სახე. რიყის ქვაფენილის ნაცვლად დაგებულია ასფალტი. გაგანიერდა და გასწორდა ქუჩები, აიგო ათასობით მრავალსართულიანი მონუმენტური შენობა — საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლეები, თეატრები, სკოლები, ინსტიტუტები. ცაშია ატყორცნილი მაღალი შენობების შპილები კოტელნიკის სანაპიროზე, სმოლენსკის მოედანზე, წითელ კართან, მთავრდება გიგანტი სახლების მშენებლობა აჯანყების მოედანსა და კომკავშირის მოედანზე. მალე ლენინის გორაზე ფართოდ გაიღება მეცნიერების სასახლის — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის კარი. ზარიადიეში აგებენ ადმინისტრაციულ შენობას.

მოსკოვს აქვს საუცხოო ტრანსპორტი. საბჭოთა ხალხის სიამაყეა მსოფლიოში საუკეთესო მეტროპოლიტენი. მგზავრებს ემსახურება 39 სადგური — მიწისქვეშა სასახლე. მეტროს მატარებლებს ყოველდღე გადაჰყავთ 1.600 ათასზე მეტი მგზავრი.

სტალინური ზრუნვა მშობლიური დედაქალაქის აყვავებისათვის განსახიერებულია მოსკოვის რეკონსტრუქციის 1951-1960 წლების გენერალური გეგმით, რომელიც შედგენილ იქნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინიციატივით. ათი წლის განმავლობაში მოსკოვი მიიღებს 10 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, რაც თითქმის უდრის რევოლუციამდელი მოსკოვის მთელ საცხოვრებელ ფონდს. დედაქალაქში გათვალისწინებულია აიგოს 400 ახალი სკოლა, კინოთეატრები 25 ათასი ადგილით, მრავალი საბავშვო ბაღი და ბაგა, საავადმყოფო, სასტუმრო, მაღაზია და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა. გაჩნდება ახალი ქუჩები და მოედნები, ბულვარები, სკვერები.

წითელი მოედანი. აქ კრემლის ძველ კედელთან, ცისფერ ნაძვებს შორის აღმართულია გრანიტის მავზოლეუმი. მისი შესასვლელის თავზე წარწერილია კაცობრიობის უდიდესი გენიოსების — ლენინისა და სტალინის სახელები.

...რეკავენ კრემლის კურანტები. მათს რეკვას და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ხმას რადიო გადასცემს მთელ მსოფლიოში. კრემლის ლალის ვარსკვლავები მთელ მშრომელ კაცობრიობას უშუქებენ სინათლისა და ბედნიერების გზას. (საკდესი).



მოსკოვი დღეს. ახალი მაღალი შენობა წითელ კართან.
ფოტო ა. ბატახოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მოსკოველებს სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის აშენების საქმეში

მოსკოვის საწარმოთა საამქროებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში კითხულობენ ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვებს, წარმოთქმულს წითელ მოედანზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის დღეს. დედაქალაქის მშრომელნი ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ცხადყოფენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ენერგია მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს.

თავდადებით შრომობენ ამ დღეებში სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშაკები. გამოვიდა რა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე, სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალმა კომუნისტმა ილიუშკინმა განაცხადა, რომ ერთიორად - ერთისამად შეასრულებს ნორმებს. სტახანოველი მტკიცედ ასრულებს სიტყვას. 12 მარტს მას დაევალა რთული კვანძის აწყობა 80 ტონიანი წნეხისათვის. მან დავალება ორნახევარჯერ უფრო სწრაფად შეასრულა, ვიდრე გრაფიკით იყო გათვალისწინებული. მღარავები ძმები ბორის და ვიქტორ პაშინსკები ყოველდღე იძლევიან დიდძალ ზეგეგმითს პროდუქციას. დავალებით გათვალისწინებულზე სამჯერ უფრო მეტ ნაკეთობას უშვებენ ახალგაზრდა ჩქაროსანი ხარატები ნ. სუსლიკოვი და ა. როჟკოვი. გეგმის გადამეტებით უშვებენ პროდუქციას მჭედლები და მსხმელები, მეარმატურეები და ველოსიპედის ამწყობები.

პირველი საკისართა ქარხნის მოწინავე ოსტატმა დ. ა. კოსირევმა თქვა:

— ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მოუწოდეს ჩვენს ხალხს გააორკეცოს ენერგია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ჩვენ საქმით ვპასუხობთ ამ მოწოდებას.

ქარხნის ხარატები ლებედევი, პაშენცევი, კოტოვა, ბროვკინი, შაროვა, ლეონოვა და სხვები 300 და მეტი პროცენტით ასრულებენ დავალებებს და საუკეთესო პროდუქციას იძლევიან. 13 მარტს მათ და ბევრმა სხვა სტახანოველმა დაამთავრეს წლის პირველი ნახევრის დავალების შესრულება. ოსტატ კოსირევის ცვლამ შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა და გადაწყვიტა მარტის დარჩენილ დღეებში გეგმის გადამეტებით გამოუშვას საკისარის ათასობით რგოლი. ასეთსავე წარმატებებს აღწევს მრავალი ცვლა და ბრიგადა.

მოსკოვ-რიაზანის მაგისტრალის მოსკოვის დამხარისხებელი სადგურის კოლექტივი პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად ბევრად შემჭიდროებულ დროში ასრულებს სატვირთო მატარებლების შედგენის ოპერაციებს. განსაკუთრებული წარმატებით დაიწყო მარტის მეორე დეკადა დამხარისხებელი გორაკის მორიგის ამხ. აგაფონოვის ცვლის კოლექტივმა. ამ დღეებში იგი ამუშავებს ცვლის დავალებით გათვალისწინებულზე 400-500 ვაგონით მეტს.

მატარებლების შემდგენლების ამხ. პეტრუხინისა და კოროვინის კომპლექსური ბრიგადები თვითეული მატარებლის შედგენაზე ზოგავენ შვიდ-რვა წუთს. მარტო 11 და 12 მარტს მათ გეგმის გადამეტებით შეადგინეს ექვსი მატარებელი.

სადგურის რკინიგზელებმა იკისრეს ვალდებულება მარტის ბოლომდე დავალების გადამეტებით შეადგინონ ასობით მატარებელი. (საკდესი).

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

**ნიუ-იორკი**, 13 მარტი. (საკდესი). [illegible]

[illegible]

**ნიუ-იორკი**, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

## კორეაში ბრიტანეთის იმპერიის აგრესიული ჯარების ყოფილი მთავარსარდლის განცხადება

**სიდნეი**, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

# ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის

**ბერლინი**, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

# პროგრესული ორგანიზაციების დევნა საფრანგეთში

**პარიზი**, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

[illegible] ტენის" შენობა.

როგორც პოლიციის მოხელეთა მიერ შედგენილ ოქმშია აღნიშნული, ჩხრეკის შედეგად ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

[illegible] რებას. იგი დააპატიმრეს ბონეში 11 მარტს და ბრალდებად წაუყენეს „არმიის მორალური მდგომარეობის ხელყოფა".

# ტერორი ფრანკისტულ ესპანეთში

**პარიზი**. 14 მარტი. (საკდესი). ყოველკვირეული „ობსერვატერი" წერს ფრანკისტულ ესპანეთში ფაშისტური ტერორის ახალი ფაქტების შესახებ. „ობსერვატერის" ცნობით, ამა წლის თებერვალში ფრანკისტი ხელისუფალნი შეუდგნენ ეგრეთწოდებულ „პოლიციურ ოპერაციას" სოციალისტური პარტიისა და საყოველთაო მუშათა კავშირის არალეგალური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

20-დან 22 თებერვლამდე 12 ანტიფაშისტი დააპატიმრეს ბარსელონაში, 18 — მადრიდში და 2 — ბილბაოში.

„ობსერვატერი" უარყოფს საპყრობილეების ფრანკისტ ხელისუფალთა ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა ანტიფაშისტმა პატიმარმა ტომას სანტენომ თითქოს თავი მოიკლა. „ობსერვატერი" აცხადებს, რომ იგი წამებით მოკლეს.

# სოციალიზმის მშენებლობის გზით

## მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები

**ულან-ბატორი**, 14 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „უნენმა" გამოაქვეყნა გადაწყვეტილებანი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისა, რომელიც ამ თვის დამდეგს გაიმართა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში მონღოლეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებისა და 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანების შესახებ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დამბას მოხსენების გამო აღნიშნულია, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმის მანძილზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მეცხოველეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დარგში. მაგალითად, 1952 წელს 1947 წელთან შედარებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში პირუტყვის საერთო სულადობა გადიდდა 8,7 პროცენტით, აქედან ერთპიროვნულ არატთა მეურნეობებში 7,1 პროცენტით, სახელმწიფო მეურნეობებში — 112,5 პროცენტით, არატთა გაერთიანებებში — 6,5-ჯერ. რესპუბლიკის მრეწველობამ აითვისა მთელი რიგი ახალი ნაწარმების წარმოება და საწარმოო პროგრამა 143,8 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფო მეურნეობებში ნათესი ფართობის გადიდების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 151,1 პროცენტით; მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა — 112,5 პროცენტით, სათიბების ფართობების გადიდების — 105,5 პროცენტით.

პირველი ხუთწლედის მანძილზე მონღოლი ხალხი საბჭოთა კავშირის დახმარებით განუხრელად ავითარებდა თავის მრეწველობას. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური გადიდება მთლიანად ხუთწლედში შეადგენს 9,8 პროცენტს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მოცულობის ზრდა 1952 წელს 1943 წლის უცვლელი ფასებით შეადგენს 151 პროცენტს 1947 წელთან შედარებით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობის სამინისტროს ხაზით გადიდდა 28,8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 17,5 პროცენტით.

ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა სამთომომპოვებელი მრეწველობის დიდი საწარმოები, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო ხუთწლიანი გეგმით, გაფართოებული და რეკონსტრუირებულია მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირის დახმარებით აგებულია და საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ხაზი, რომელსაც ი. ბ. სტალინის სახელი ეწოდა.

ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა შეადგენს 202.445.800 ტუგრიკს. მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა გეგმა შესრულებულია 104,6 პროცენტით, კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობაში 1952 წელს 1947 წელთან შედარებით ერთიათად და მეტად გადიდდა.

ულან-ბატორის საქალაქო მშენებლობაში უდიდეს კაპიტალდაბანდებათა შედეგად მნიშვნელოვნად იცვალა სახე მონღოლეთის დედაქალაქმა. ქალაქში აშენდა ბევრი კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული, საცხოვრებელი და სასწავლებლის შენობა. ახლა ადგენენ ულან-ბატორის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმას.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული ხუთწლიანი გეგმა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგში. ხუთწლედის მანძილზე ძირითადად გადაწყდა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოზრდილი მოსახლეობის 99 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნე გახდა.

მიღწევებთან ერთად სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს ნაკლოვანებებს გეგმის განხორციელებაში. ერთ-ერთი მეტად დიდი ნაკლია ერთპიროვნულ საარატო მეურნეობებში პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმის შეუსრულებლობა. რეზოლუციაში აღნიშნულია არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შეუდგეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1953-1957 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენას. რეზოლუციაში დასახულია სახალხო მეურნეობის 1953 წლის გეგმის შესრულების ღონისძიებანი.

რეზოლუციაში არატთა გაერთიანებების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შესახებ მოცემულია არატთა გაერთიანებებში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა მიზეზების ანალიზი. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოსთხოვა პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა არატთა გაერთიანებებისადმი. გადაწყდა ახლო მომავალში ცვლილებანი და დამატებანი შეიტანონ არატთა გაერთიანებების სანიმუშო წესდებაში, 1953 წლის განმავლობაში განხორციელდეს გაერთიანებებისათვის საჭირო მიწების — საძოვრების, სათიბებისა და სახნავ-სათესი მიწების გამოყოფა და მიჩენა. დასახულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი იმისათვის, რომ არატთა გაერთიანებანი სანიმუშო კოლექტიურ მეურნეობებად გადააქციონ.

# შინაპოლიტიკური კრიზისი იაპონიაში

## იაპონიის პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა იოსიდას მთავრობას

**შანხაი**, 14 მარტი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატამ 229 ხმით 218 ხმის წინააღმდეგ უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა იოსიდას მთავრობას. პრემიერ-მინისტრმა იოსიდამ გამოაცხადა პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნა და პარლამენტის ახალი არჩევნების მოწყობა, ისარგებლა რა ამისათვის არსებული კონსტიტუციური დებულებით.

იოსიდას მთავრობის დამარცხებას წინ უსწრებდა იაპონიის კაბინეტის პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკა პარლამენტის ოპოზიციის მხრივ, აგრეთვე მინისტრების ხანგრძლივი ათურმა და შუღლი თვით მმართველ ლიბერალურ პარტიაში. პარლამენტის ამ სესიაზე იაპონიის კაბინეტის კრიტიკით გამოიხატა იაპონიის საზოგადოებრიობის ფართო ფენების დიდი უკმაყოფილება იაპონიის ახლანდელი მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკის გამო, მთავრობისა, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმს მისჩანჩალებს.

იოსიდას მთავრობის ახლანდელი კრიზისი საბოლოო ანგარიშით იმის შედეგია, რომ იაპონიაში ძლიერდება უკმაყოფილება ამერიკელი იმპერიალისტების პოლიტიკის გამო, რაც განსაზღვრავს ყოველი იმ პოლიტიკური აპარატის მერყეობას, რომელიც ამერიკელთა ოკუპაციის რეჟიმს ემსახურება.

# ამერიკელთა სამხედრო ხროვის თარეში ავსტრიაში

**ვენა**, 14 მარტი. (საკდესი). ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები კვლავ ტერორით აშინებენ ავსტრიის მოსახლეობას.

როგორც ავსტრიის პრესის სააგენტო იუწყება, ზალცბურგში რამდენიმე ამერიკელმა მთვრალმა ჯარისკაცმა მხეცურად სცემა ერთ-ერთი რესტორანის პატრონ ქალსა და ოფიციანტს.

ზალცბურგის მეორე რესტორანში რესტორანის პატრონი, რომელიც ცდილობდა დაემშვიდებინა თავაშვებული ამერიკელი ჯარისკაცები, მძიმედ დაჭრეს.

# სამეცნიერო სესია

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სამ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი სტალინის გენიალური ნაშრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისადმი.

სესიაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარება ი. ბ. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" (მომხსენებელი დოცენტი ხ. ქორიძე); „ი. ბ. სტალინი პოლიტიკური ეკონომიის საგნის შესახებ" (მომხსენებელი დოცენტი ა. პრიმო); „ი. ბ. სტალინი სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ხასიათის შესახებ" (მომხსენებელი დოცენტი მ. ადელხანოვი); „სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სსრ კავშირის განვითარების ხუთწლიანი გეგმა" (მომხსენებელი ტ. გოგლიძე).

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები: პროფესორ გ. თავზიშვილისა — „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" და პოლიტექნიკური განათლების საკითხები", დოცენტ ე. ზათიაშვილისა — „პოლიტექნიკური სწავლება საშუალო სკოლაში და რუსული ენის სწავლების ამოცანა ქართულ სკოლაში", დოცენტ გ. კონიაშვილისა — „საშუალო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების საკითხისათვის და პედაგოგიური ინსტიტუტების ამოცანა", დოცენტ პ. მეტრეველისა — „ბიოლოგიური დისციპლინების როლი პოლიტექნიკური განათლების საქმეში", დოცენტ დ. ასათიანისა — „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" და ფსიქოლოგიური მეცნიერება", დოცენტ პ. ლუდუშაურისა — „ლიტერატურის სწავლების ამოცანები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე", დოცენტ მ. მაჩაიძისა — „ი. ბ. სტალინის მოძღვრება საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონის შესახებ", დოცენტ გ. გიორგიძისა — „XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დახასიათებისათვის ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" მიხედვით", ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. პრილიპკოსი — „მ. გორკი და ტიპიურობის პრობლემები".

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

# გამსვლელი სესია იხილავს მევენახეობის საკითხებს

**ქარელი**. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტმა ქარელში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია მევენახეობის განვითარების საკითხებზე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მევენახეობის ბრიგადირები, გამოცდილი კოლმეურნეები და აგრონომები.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ნ. სულხანიშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ზამთრისა და გაზაფხულის ძირითადი სამუშაოები მევენახეობაში"; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მაზანაშვილმა — „ვაზის გასხვლა და დიდი დატვირთვის ფორმების გამოყვანა"; ი. რუსიაშვილმა — „ქარელის რაიონში გავრცელებული ვაზის ავადმყოფობანი და მავნებლებთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებანი"; ზ. ბალდასარაშვილმა — „ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება მევენახეობაში", პ. ბიბილაშვილმა — „ვენახების მოვლა-დამუშავების მდგომარეობა ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში".

# სასოფლო ცენტრის კეთილმოწყობა

**წალენჯიხა**, 14 მარტი. (საქდესი). დღითიდღე მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონის მთიანი სოფელი საჩინო. აქ უკვე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის შენობა. სოფელს ამშვენებს უკანასკნელ წლებში აგებული სასოფლო კლუბის, საექიმო პუნქტისა და ფოსტის შენობები.

ამჟამად აქ აშენებენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის ორსართულიან სახლს და სტადიონს.

# ყვავილებით და სუბტროპიკული კულტურებით რუსთავისათვის

**რუსთავი**, 14 მარტი. (საქდესი). მწვანედ ირთვება რუსთავი. ოდესღაც შიშველ, უსიცოცხლო ველზე ახლა იზრდება არა მარტო ჭადარი, კაკალი, თელა, არამედ სუბტროპიკული მცენარეებიც — ქამეროპსის პალმები, დრაცენა, არალია, აზალეა და სხვები.

ქალაქის მწვანე ნარგავებს ყოველდღე ემატება ახალი სახეობის მცენარეები. მაგალითად, ბათუმიდან ამ უკანასკნელ ხანს აქ ჩამოიტანეს 1.000 ძირი წყავი, 1.500 ძირი მაგნოლია, 1.500 ძირი ზღმარტლი, ფოთიდან და გალის რაიონიდან ჩამოიტანეს ათეულ ათასობით ძირი ტუია, 1.500 ძირი ჭადარი, 4.000 ძირი ჰიმალაის კედარი. ქალაქმა დიდი რაოდენობით მიიღო ყვავილები და ბუჩქები.

# ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაბრუნება გასტროლებიდან

თბილისში გასტროლებიდან დაბრუნდა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელებია რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი.

ანსამბლმა გასტროლებზე დაჰყო ორი თვე. მან კონცერტები გამართა მოსკოვში, ლენინგრადში, მურმანსკში, არხანგელსკში, მოლოტოვში, სტალინოში და პეტროზავოდსკში, სულ 37 კონცერტი.

ამჟამად ანსამბლი იწყებს მუშაობას ახალ პროგრამაზე.

# აზერბაიჯანისა და საქართველოს კალათბურთელთა შეჯიბრება

ამ დღეებში ლენინის სახელობის ხასპორტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანისა და საქართველოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

პირველ დღეს საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 56 : 34, ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 76 : 48.

მეორე დღეს აზერბაიჯანელი სპორტსმენები მეტი ენერგიით თამაშობდნენ. მათ წააგეს შეხვედრები მცირე განსხვავებით. ქალთა გუნდი დამარცხდა ანგარიშით 32 : 39, ვაჟთა გუნდი — ანგარიშით 58 : 62.

საქართველოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები რიგას გაემგზავრნენ, სადაც გაიმართება მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების ასპარეზობა.

# ქალთა ტრადიციული სპარტაკიადა

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე დაიწყო თბილისის ქალთა მესამე ტრადიციული სპარტაკიადა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი.

პროგრამაშია: მძლეოსნობა, ცურვა, ჩოგბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მოტო და ველოსპორტი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფარიკაობა, სროლა, ჭადრაკი.

სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე თბილისის სასპორტო საზოგადოებათა უძლიერესი სპორტსმენი ქალები, რომელთა საერთო რაოდენობა ათასს აღემატება.

პირველ დღეს გაიმართა შეხვედრები ჩოგბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში. სპარტაკიადა გაგრძელდება მარტის ბოლომდე.

თბილისის ქალთა მესამე ტრადიციული სპარტაკიადის მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.


**სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) ობლიგაციებზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ!**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) გამოშვების პირობების შესაბამისად, 1953 წლის 31 მარტი — საბოლოო ვადაა შემნახველი სალაროების მიერ ამ სესხის იმ ობლიგაციების გაცემისა, რომლებიც ხელისმომწერთ არ მოუთხოვიათ.

ამიტომ ხელისმომწერლებმა, რომლებსაც რაიმე მიზეზით დღემდე არ მიუღიათ აღნიშნული სესხის ობლიგაციები, უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ჩაიბარონ ეს ობლიგაციები.

ობლიგაციების მისაღებად მუშა-მოსამსახურეებმა უნდა მოითხოვონ საწარმოდან ან დაწესებულებიდან ცნობა ხელისმოწერის გადახდილი თანხის შესახებ და წარადგინონ ეს ცნობა ცენტრალურ შემნახველ სალაროში, საწარმოს ან დაწესებულების ადგილმყოფელობის მიხედვით.

განცხადება ობლიგაციების გაცემის შესახებ და ცნობა ხელისმომწერლებს შეუძლიათ ფოსტით გაუგზავნონ ცენტრალურ შემნახველ სალაროს 1953 წლის 31 მარტამდე — ჩათვლით.

1 აპრილიდან წყდება ხელისმომწერლებზე იმ ობლიგაციების გაცემა, რომლებიც მათ თავის დროზე არ მოუთხოვიათ.

**მოქალაქენო! მიიღეთ თქვენი ობლიგაციები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხისა (1951 წლის გამოშვება).**

**მიიღეთ მონაწილეობა მოგებათა ტირაჟში.**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**



**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატი თავის ფილიალებსა და სასწავლო პუნქტებში (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, თელავი, გორი, მახარაძე, სიღნაღი, სტალინირი, ფოთი) სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საწარმოებსა და დაწესებულებებთან ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მოანგარიშეების, ბუხჰალტრებისა და უფროსი ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას.**

**საწარმოებსა და დაწესებულებებთან იხსნება აღრიცხვის ჟურნალურ-ორდერული ფორმის შემსწავლელი სპეციალური სემინარები.**

მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მოსამზადებელ კურსებზე მსურველნი მიიღებიან ინდივიდუალური წესითაც.

ხელშეკრულებათა დადება და განცხადებათა მიღება გრძელდება.

საწარმოებსა და დაწესებულებებს აღრიცხვის მუშაკთა კადრებზე მოთხოვნილების მიხედვით განაცხადი შეუძლიათ გზავნონ საქართველოს სასწავლო კომბინატში მისამართით: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქუჩა, 22.

ცნობების გაცემა წარმოებს სათანადო ფილიალებსა და სასწავლო პუნქტებში (თბილისში ცნობები გაიცემა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ძერჟინსკის ქ. № 22, ტელეფონი 3-31-01; საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, საბჭოს ქუჩა № 275 (ლენინის რაიონი).



**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები სამ-სამ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდებაში დამტკიცების საბუთების ნოტარიალურად შემოწმებული პირები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია და მთავარი სამეცნიერო ნაშრომები.

კონკურსის ვადა — 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8.





**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

16 მარტს

**უკანასკნელი გასტროლი**

რსფსრ დამსახურებული არტისტის

**ნ. პ. გლადილშჩიკოვისა**

**ბრძოლა მახრჩობელა გოლიათთან**

დიდი საცირკო პროგრამა ახლად ჩამოსული მსახიობების და აზერბაიჯანის საცირკო კოლექტივის მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ბავშვები 16 წლის ასაკამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.



**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 17 მარტს | ჯ. ვერდი — **რიგოლეტო** |
| 18 მარტს | დ. თორაძე — **გორდა** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



**გამომცემლობა „კომუნისტს"**

ესაჭიროება

**მე-2 კლასის შოფერი**

საბარგო მანქანაზე სამუშაოდ.

ლენინის ქ. № 14, III სართული.


და ელენე, სიძე იოსებ ბაბილოძე, დისწულები თამარ, გიორგი ბაბილოძეები შვილებით, სიძე შ. გუგეშაშვილი, რძალი ქ. ანაკაშვილი იუწყებიან **თამარ ალექსის ასულ ყაზახაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-III, 8 ს. გამოსვენება 19-III, 5 ს. ფიქრის გორა, ლენინის სახელობის დასახლება, № 4.

საქენერგოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება **ნოე არჩილის-ძე მხეიძის** გარდაცვალებას.

მამა ამბაკო ჯანელიძე, მეუღლე აკაკი, შვილი ზაზა, მამამთილი სამსონ თურქაძეები, ძმა ვლადიმერ, და თამარ, რძლები ალექსანდრა, ლიდა, გალინა იუწყებიან **ნადეჟდა ამბაკოს ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-III, ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, კუიბიშევის ქ. № 26.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველობა იუწყება მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის, ტრესტის მმართველის მოადგილის **აკაკი ნესტორის-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81; გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00968

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".